წელიწადი მე-2-ე

კვირა, 15 მაისი

სამშობლო

№ 356

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: [illegible] ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან ახალი პროგრამა.

აჰაერო დაზვერვა. სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

დანაშაულობიდან დანაშაულისაკენ.

იარული კომედია 3 ნაწილად ცნობილ მსახიობ: ვ. კარალისა და მისი მამის ა ნ. კარალიტორცევის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა.

თხფეხა მეგობრები, ბუნებიდან გადაღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

ათხოვარი ქალი, ღვთის გულისთვის მიეცით მას მოწყალება. დრამა 4 ნაწილად ცნობილ არტ. ლისენკოსა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან, მხოლოდ მოზრდილთავის ნაჩვენები იქნება

საჰაერო დაზვერვა.

ურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

ქალიშვილი ხალით.

ღიერი ფარსი 4 ნაწილად, დადგმულია ურალსკის მიერ, ჩიტორინის, გედიკე ნიკოლსკის და სხვათა მონაწილეობით. დეკორაცია მხატვარი ა ა. გრეზინის.

ანონსი: ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა

ოთხფეხა მეგობრები

სისხლში მოსვრილი ყვავილი.

რამა 5 ნაწ. სატახტო ქალაქის არისტოკრ. ცხოვრებიდან ცნობილ არტისტების ჩერნოვისა, მიხურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

ჭრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №.
14 46, ტელეფონი № 87 თ

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12\frac{1}{2}$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ჩამოსული რუსი სტუდენტი

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **ეძებს გაკვეთილს**, ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, აფთიაქის მოწაფეთ „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.

თანხმაა აგარაკზე გაკვეთილი აიღოს.

მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიალკო.

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

(უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან)

პეტროგრადი. 12 მაისი ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. კუნძულ დადენის დასავლეთ მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს რუსების სადარაჯო ადგილზე, რომელიც უკან დასწიეს და პირველი ხაზის ერთი თხრილი ხელთ იგდეს. რუსებმა კონტრიერიშით ამ ადგილებიდან უკუაგდეს მტერი და თავის თხრილებს დაუბრუნდენ. რუსების ზარალი მცირეა. სად. ოლიკის ჩრდილოეთით გერმანელებმა კარპილოვკაზე იერიში მიიტანეს და მავთულის ხლართის გარღვევა მოინდომეს, მაგრამ რუსებმა ზარბაზნით მოიგერიეს. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი. მოსულის მიმართულებით ოსმალებმა რევანდუზას შეუტიეს რომელიც მოიგერიეს რუსის ჯარი, რომელიც ქერმანშაჰთან და კასრიშირინსთან მოქმედებდა მდ. ტიგროსთან, კუტელ-ამარას ქვემოდ ინგლისის ჯარს შეუერთდა. 9 მაისს ყაზახები ინგლისის მესოპოტამიის კორპუსის ბანაკში გამოცხადდენ.

რომი 11 მაისი ოფიციალი. იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა ლაგორიგოს ველზე, ადიჟეს ორთავ ნაპირზე მტერი ჩვენ თხრილებს ზარბაზნებს უშენს მტრის რაზმი, რომელიც ლიცანადან მარსოსკენ შეეცადა წაწევას, ჩვენმა ზარბაზანმა შეაჩერა. მტრის იერიში მონტედიმეცოსთან შევაჩერეთ. ტერანოლოს და ასტიკოს შუა ჩვეულებრივი სროლაა. პოზენას და ასტიკოს ზემო მიდამოები გავანთავისუფლეთ და წესიერად უკან დავიხიეთ. ჯარი არსეროს მიდამოებში მაგრდება, არტილერია, რომლის გამოტანაც ვერ შევძელით, გავანადგურეთ.

ასტიკოს და ბრენტას შუა მტერი ჩვენ ბრძოლის ხაზს მოაწვა. ჩვენი უკან დახევა ნელ ნელა და წესიერად მიმდინარეობს. კარნაში მკაცრი სროლაა. აქ მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს, რამდენიმე კაცი მოკლულია. სხვა ადგილებში ღირსშესანიშნავი არა მომხდარა-რა

პარიზი. 12 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, მორტჰომის აღმოსავლეთით, ქვეითა ჯარის ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა, რამდენჯერმე შეაჩერა მტერი, რომელიც სოფ. კიუმერის მიმართულებიდან სცდილობდა წაწევას. ჩვენმა ჯარმა დაჟინებით კონტრიერიშის შემდეგ ხელთ იგდო გერმანელთა თხრილები, ამ სოფლის სამხრეთ განაპირას.

მაასის მარჯვენა ნაპირზე, დუომონის ფორტის მიდამოებში არტილერიის მოქმედება გახლიერდა ახლად მოსულმა ბავარიელების ორმა დივიზიამ სასტიკი იერიში მოიტანა დოუმონზე და ხელთ იგდო. გერმანელები სცდილობდნენ გაერღვიათ ლაკაიეტის ტყის სანგრები, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა განზრახვა ჩააშლევინა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში არსებითი არა მომხდარა-რა.

პარიზი. 12 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე „304“ სიმაღლის სექტორში და მორტჰომ-კიუმერის ასპარეზზე დაჟინებული საარტილერიო ბრძოლაა ღამის განმავლობაში ფრანგებმა წაიწიეს სოფ. კიუმერის აღმოსავლეთით მაასის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი იერიშის შემდეგ, ოდრემონის მაღაროების ჩრდილოეთით, გერმანელებმა ხელთ იგდეს ფრანგთა თხრილები დოუმონის მიდამოებში საშინელი საარტილერიო ბრძოლაა. ქვეითი ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღამემ წყნარად ჩაიარა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რიგის ფრონტზე ამ ბოლო დროს ხანგამოშვებით მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ქ. რიგის თავზე განუწყვეტლივ მტრის ჰაეროპლანები დაფრინავენ.

— —

დვინის ფრონტზე 8 აპრილიდან ცხარე საარტილერიო ბრძოლაა დვინსკში რამდენიმე მოქალაქე ჯაშუშობისთვის გერმანელებმა სიკვდილით დასაჯეს.

— —

ვილკომირის მიდამოებიდან, გერმანიის სამხედრო მთავრობის განკარგულებით, 4000 ებრაელი გადმოასახლეს.

— —

მეფე კონსტანტინეს მთავარი სამხედრო შტაბი ლარისაში (ფესალია) გადაუტანია. ამას იმით ხსნიან, რომ მაკედონიის ფრონტზე ამ ცოტა ხანში დიდი ამბებია მოსალოდნელიო.

— —

სალონიკთან ბრძოლა უკვე დაწყებულა. 12 ათასი ბულგარელი დოირანიდან დაიძრა. ამ დღეებში მოელიან ფელდმარშალ მაკენზენს.

— —

ოსმალეთ-გერმანიის მიერ ეგვიპტის გალაშქრებაზე ხელის აღება არ გამართლდა. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, სუეცის არხისკენ გერმანელებსა და ოსმალებს დიდძალი ჯარი დაუძრავთ. ზოგიერთი სამხედრო ავტორიტეტი ამას მხოლოდ დემონსტარტიული მიზნით ხსნის.

— —

გერმანია შისამინისტროს კრიზისიგრძელდება.

— —

ჰუნგრეთის სამეფოს თავის სახლის საპატიო წევრად აურჩევია იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც ისტორიის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვისო.

— —

ბერლინში საერთო იაფფასიანი სასადილოები გამართეს. სასადილოები მეტად სუფთად არის მოწყობილი და სადილიც კარგი ღირსებისა მზადდება. ასეთი სასადილოების გამართვა გამოუწვევია სანოვაგის კრიზისს. თითო სადილი ორი ფრანკი ჯდება.

— —

გერმანიის მთავრობამ ოსმალეთს გაუგზავნა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე რეიჰსტაგის ცნობილი დეპუტატი ჰენცე. ჰენცე მიმართულებით ნაციონალ-დემოკრატია და ამასთანვე ზედმიწევნით მცნობი ოსმალეთის აწინდელ ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობისა.

— —

ბაზელიდან იუწყებიან ავსტრიის რეიჰსტრატის არჩევნები დასრულებულია. შემადგენლობა პარლამენტისა 60 ფრაქციისაგან შესდგება. უპირატესობა გერმანელების მომხრეები არიან.

— —

ალანდიის კუნძულების საკითხი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა შვეცია რუსეთისგან ხელშეკრულობას თხოულობს.

— —

ტიროლთან ბრძოლას სამხედრო ავტორიტები ვერდენთან ბრძოლას ადარებენ. აქ ავსტრიელები და იტალიელები უკიდურესის გაafთრებით იბრძვიან. ავსტრიელები იერიშებს აწარმოებენ, იტალიელები კი თავდაცვას.

— —

გერმანელები ბალტიის ზღვაში ინგლისის წყალქვეშების შემოჭრას ელიან და ამიტომ ფიცხელი ზომები მიიღეს გამოსასვლელ ადგილებში ბადეების ჩადგმით.

— —

შვეციის რეიჰსტაგის წევრს პროფ. სტეფენს ალანდიის კუნძულების თაობაზე გამოწვეული უთანხმოების გამო დეპუტატობისთვის თავი დაუნებებია.

— —

ესპანიაში ზავის სასარგებლოდ მოძრაობა ძლიერდება. სოციალ დემოკრატი დეპუტატები პარიზსა და ლონდონს წავიდენ

— —

ბელგიაში გერმანელები განაგრძობენ სხვადასხვა გამოჩენილი პირის დატუსაღებას 7 აპრილს ბრიუსელში დაუტუსაღებიათ კარდინალი მორსიე.

— —

მესოპოტამიაში რუსის ჯარის ინგლისელებთან შეერთებას „რუსკ. სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი დიდ მნიშვნელობას აძლევს და ამბობს, რომ კავკასიის ასპარეზზე დღეიდან ბრძოლა ახალ სახეს მიიღებსო.

ქ. ქუთაისი, 15 მაისი.

მარშალთა დღეს იწყება ქუთაისის გუ**არჩევნები.** ბერნიის თავად-აზნაურთა კრებები სამაზრო-საგუბერნიო წინამძღოლებისა და საკრებულოს დეპუტატების ამოსარჩევად.

უყურადღებოდ დატოვება ასეთის მოვლენისა ჩვენის მხრივ დიდი უდიერობა იქნებოდა და ამიტომ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ საჯაროდ, საქვეყნოდ არ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ჩვენი ერის სხვა და სხვა კლასთა თუ წოდებათა ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე.

ბევრი რამ წაგვიკითხავს და მოგვისმენია კლასთა ბრძოლის შესახებ, ვიცით ისიც, რომ ამა თუ იმ ერის კლასთა შორის არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა, არსებობს დიდი განხეთქილებაც, არსებობს სიძულვილიც კი და ერთის შეხედვით თითქმის შეუძლებელიც არის ამ კლასთა მორიგება, მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ ისეთ ერის ცხოვრებაში, რომელი ერიც არ არის თავის თავის ბატონი, რომელ ერშიაც ჯერ უკიდურესობამდე არ ჩამოყალიბებულა კლასები და საერთო, საქვეყნო უუფლებობისა გამო, ყველა ერთ ტაფაში იხრაკება, უფრო დიდი ადგილი აქვს კლასთა თანამშრომლობას, ვიდრე კლასთა ბრძოლას

ისეთ დიდსა და პოლიტიკურ-ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებშიაც კი, როგორიც არიან, მაგალითად, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, ჩვენა ვხედავთ, რომ საერთო უბედურების დროს დავიწყებულ იქნა კლასობრივი ინტერესები და ჩვენში ხომ კლასთა ბრძოლაზე აშენება მომავალის ბედნიერებისა, დღეს-დღეობით სასაცილო თუ არა, მეტად გადაჭარბებული და დიდათ მავნებელი მოძღვრებაა

— მე თქვენზე მაღლა ვსდგევარ, ჩემზე მაღლა სდგას შაჰინ შაჰი, შაჰინ-შაჰინზე კიდევ მაღლა სდგას ღმერთი! ო—უთხრა გონზე მოსულმა სულეიმან ხანმა მის წინააღმდეგ შეთქმულებს და თუ ჩავუკვირდებით დღევანდელ ყოფნას საქართველოისას და ქართველებისას, იმ ქართველებისას, რომლის არც ერთი წოდება თუ კლასი არ არის თავის თავის ბატონი, რომლის თითოეული წევრის სულიერი თუ ხორციელი ცხოვრებაც კი დამოკიდებულია გარეშე, უცხო მბრძანებლობაზე, მაშინ თითოეულმა წრემ თუ ჯგუფმა ქართველებისამ უნდა იწამოს და სთქვას:

— მართალია მე ვარ, მაგრამ ჩემზე მაღლია საზოგადოება, ხოლო საზოგადოებაზე მაღალია ერი, ხალხი, მთლიანი, განუკვეთელი კოლექტივი, რომლის საერთო მოქმედება დასცემს ყოველგვარ უსამართლობასაო.

რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ ჩვენმა შინგაზრდილმა „სოციალისტებმა“— ერთმა კლასმა მეორე უნდა ჩაყლაპოსო, რამდენიც არ უნდა იძახონ ჩვენი დღე-

ომის დღიური.

ვერდენის ოპერაციამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო. გერმანელები გაშმაგებით განაგრძობენ დაწყებულ იერიშებს და

იტალიის ასპარეზი დიდ ყურადღებას იქცევს. ავსტრიელები შეუჩერებლივ განაგრძობენ წინსვლას. იტალიელები ყველგან უკან იხევენ. აქ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ გერმანელებიც.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალები ბრძოლის ინიციატივის ხელში ჩაგდებას ლამობენ. 5 მაისიდან მეტად მოუხშირეს სხვადასხვა მიმართულებით იერიშებს, თუმცა მთავარი შემოტევის ადგილი ჯერ არ გამორკვეულა კავკასიის სამხედრო შტაბისათვის. მესოპატამიაში რუსის ჯარის ინგლისელებთან შეერთებას ოსმალებზე დიდი გავლენა მოუხდენია.

რუსეთის ასპარეზზე გერმანელებს ჯერ-ჯერობით მიზანში ამოღებული აქვთ ისევ რიგა-დვინის რაიონი. თუმცა დრო-გამოშვებით სხვა ადგილებშიაც უტევენ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გერმანელები ამ ჟამათ ვერდენს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, მაშინ რუსეთის ასპარეზზე მთავარ შეტევას დროებით მოერიდებიან და თავის სამხედრო მოქმედებას მხოლოდ დემონსტრატიულ ხასიათს მისცემენ.

ვანდელი ყოფნის უცოდინარებმა: „ან ყველაფერი, ან არაფერიო“, რამდენიც არ უნდა დაალონ პირი სხვის მოიმედეებმა—იქნება ღმერთმა ზეციდან გამომცხვარი ხაჭაპურები ჩამოგვიყაროსო, ჩვენ მაინც გვგონია, რომ ყოველივე სიკეთე მოგვეცემა მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული ჯგუფი, თითოეული წრე, თითოეული წოდება, თითოეული კლასი ქართველთა (თუ კი ჯერ არის ჩვენში რომელიმე გარკვეული, ჩამოყალიბებული კლასი) თავის კერძო ინტერესებს მსხვერპლად მიუტანს საერთო, საერო ინტერესებს.

მხოლოდ აქ არის ხსნა ჩვენის ერისა, ჩვენის სამშობლოისა!

ვერც თავადი, ვერც აზნაური, ვერც ვაჭარ მრეწველი, ვერც გლეხი და ვერც მუშა კერძოდ, თავასით ვერ გაუძღვება ქვეყანას ერთი მეორის დახმარებით კი შეიქმნება ისეთი ძალა, რომელიც მოაწესრიგებს ჩვენის სამშობლოის შინაურ საქმეებს და მოიგერიებს იერიშებს იმ გარეშეთა, რომელნიც მოსპობით ემუქრებიან ჩვენს ენას, ჩვენს რწმენას, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს რაობასა და ჩვენს ვინაობას! .

მოგეცათ ღვთის წყალობა კარგი იყოს კეთილი ცხოვრება: მაჰმადის სამოთხესა და ქრისტეს სასუფეველს არც ერთი ჩვენთაგანი არ დაიწუნებს, მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ ნეტარებამდე? აი, ის საკითხი, რომელიც მოითხოვს სააქაო პასუხს.

ჩვენის ღრმა რწმენით, თანდათან უნდა მოვიშოროთ ის ცოდვები, რომელთა კონასაც, რომელთა კრებულსაც ჰქვიან ცხოველური ეგოიზმი, მეშჩანური შინ-ჩემობა, პირუტყვული გაუმაძღრობა და თავდავიწყებული სიხარბე. ეს თითოეულ პიროვნების, თითოეულ კაცის ცხოვრებაში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი ამ ცოდვათა კონას ჰქვიან: ბატონ-ყმობა, ბიუროკრატიზმი, ძალმომრეობა, ერთიმეორის დაჩაგვრა, სხვის შრომის მითვისება და კანონად გადაქცეული ძარცვა-გლეჯა.

ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ეს ცოდვები ღუპავენ ქვეყანას, თითოეულ ჩვენთაგანს, მაგრამ ის კი აღარ გვინდა შევიგნოთ, რომ თითოეული ჩვენთაგანივე აშენებს ამ გოლგოთას. აბა თითოეულმა ჩვენთაგანმა სცადოს და ამ გოლგოთაზე თითო მუჭა მიწის მიტანის მაგივრად, თითო მუჭა აიღოს ამ გოლგოთიდან და გაანიავოს,—დარჩება რამეღა ამ წამების მთიდან?

— აღარაფერი!.. ყველა კმაყოფილი, ჯანსაღი, განათლებული და ბედნიერი იქნება. მაგრამ, მაგარი და უბედურება ის არის, რომ ჩვენ თეორიების შექმნა—თაყვანის ცემა უფრო გვეადვილება, ვიდრე სულ მცირე მსხვერპლის გაღებაც კი.

ჩვენ ერთმანეთის ლანძღვა-თრევა უფრო გვეხერხება, ვიდრე მორიგება, შეერთება, საერთო ძალღონით საძმო, საქვეყნო საქმის გაკეთება...

ვიმეორებთ: დღეს ისეთ პირობებში ვართ, რომ ვერც ერთი წოდება კერძოდ ვერას გააკეთებს! საჭიროა საერთო თანამშრომლობა, საჭიროა სამართლიანი კრიტიკა თითოეულის ჩვენთაგანის მოქმედებისა, საჭიროა მოთხოვნა თითოეულის ჩვენთაგანისაგან: იყოს დარაჯად, მსხვერპლად საქვეყნო საქმისა.

არავისათვის დამალული არ არის, რომ დღეს დღეობით თავად-აზნაურობასაც შეუძლია მოუტანოს სათანადო სარგებლობა ჩვენს ქვეყანას.

ამ წოდებას აქვს უფლება თავისი წარმომადგენლის პირით ელაპარაკოს თვით ხელმწიფესაც-კი, ამ წოდებას აქვს საშუალება მილიონები დახარჯოს ჩვენი ხალხის კულტურულად ამაღლებისათვის, ამ წოდებას ყოველთვის შეუძლია გამოისყიდოს თავისი ცოდვები სამშობლოს წინაშე, ამიტომ ნუ ვიქნებით უმადურნი, ამ არჩევნებში გავუმაგროთ მხარი და ჩვენის ქვეყნის, ჩვენის ხალხის სახელით მოვსთხოვოთ თავის წარმომადგენელად ამოირჩიოს ისეთი პირები, რომლებზედაც არამც თუ ვერავინ ვერაფერი ცუდი ვერა სთქვას, არამედ ვერც კი ვერავინ გაბედოს რაიმე ცუდის თქმა ..

დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო! თუ გუშინ და გუშინ წინ ანგარებასა და ჩინოვნიკობაზე იყო დამყარებული ძალა და უფლება ამა თუ იმ ამორჩეულის პირისა, დღეს აღარ შეიძლება ასეთ პიროვნებ-სადმი ნდობის გამოცხადება.

დღეს ეს საპატიო თანამდებობა—მარშლობა - ისეთ კაცებს უნდა ჩაჰბარდესთ, ან დარჩესთ, რომლებიც ღირსეულად დაიცავენ სახელს და პატივს მთელის საქართველოისას, მთელის ქართველობისას.

წოდებით თავადი საქმითაცა და მოქმედებითაც თავადი—თავი უნდა იყოს თავის დაბეჩავებულის სამშობლოისა, თორემ რას ევვანება „თავადობდეს“ ისეთი კაცი, რომელიც მხოლოდ ვიწრო ჯგუფურს, ან მარტო თავის პირად ინტერესებს ემსახურებოდეს!...

მაშასადამე, დღევანდელი კრება მოვალეა ნდობით აღჭურვოს ისეთები, რომლებიც წმინდა იქნებიან ვით ბროლი, და პირდაპირი, ვით ხირიმის ტყვია

არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, მაგრამ ვიდრე დღევანდელ ყოფნაში ვართ, ვიდრე ჩვენი უფლებისა და ღირსების დაცვას შეუამდგომელი ექირვება „სადაც ჯერ არს“, ვიდრე ხალხის სახელით ლაპარაკობს ერთი რომელიმე წოდების წარმომადგენელი, იმას უნდა ესმოდეს მთელი ხალხის გულისთქმაც და ეს გულისთქმა უნდა იყოს მას გზის მაჩვენებელ კანდელად...

მაშ, ბატონებო, ისარგებლებთ რა თქვენის წოდებრივის უფლებით, გაიმსჭვალენით ეროვნულის გრძნობით და ამოურჩიეთ მაზრებსა და გუბერნიას ისეთი მარშლები, რომლებიც ერთგულნი დარაჯნი იქნებიან ხალხის ქონება—უფლებრივ წარმატებისა! .

საზიზღარი ცილისწამება.

გაზეთ „სოხ ვესტნიკ“-ში გადაბეჭდილია შემდეგი მეტად აღმაშფოთებული ცნობა:

„სოხუმის სასოფლო სამეურნეო ბიულეტენში სწერდენ, რომ, დღეს იქნება, თუ ხვალ, უთუოდ აფხაზები აჯანყდებიანო, რამაც მეტად აღშფოთა სოხუმის რუსი მცხოვრებნიო“.

ამ საზიზღარი ცილისწამების შესახებ ამავე გაზეთში ბ რუსი შენიშნავს:

„რათ დასჭირდა სასოფლო სამეურნეო საცდელ სადგურის ბიულეტენს ასეთი შეურაცხმყოფელი ჭორის შეთხზვა იმ დროს, როდესაც აფხაზთა მხრივ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და რუს საზოგადოებას მათგან არავითარი საფრთხე არ მოელის.

რუსის საზოგადოებას, რომელიც აფხაზების მეზობლად სცხოვრობს, არასოდეს არ უგრძნია შიში აფხაზების მხრივ, პირიქით, მათზე რუსებს დღეს სრულიად გარკვეული წარმოდგენა აქვსთო.

თქვენი ასეთი გამოსვლა კი, თავი რომ დავანებოთ იმ სამართლიან აღშფოთებას, რომელიც ამ ცილისწამებამ გამოიწვია, არის თქვენი ბრმა შეხედულება და წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზეო, დაასკვნის ბ-ნი „რუსი“.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

სადღეისოდ დანიშნული პანაშვიდი ლადო დარჩიაშვილის სულის მოსახსენებლად გადაიდვა მომავალ კვირისათვის განსვენებულის მეუღლის ჩამოსვლამდე.

◆ დღეს, ქალაქის თეატრში მოხდება ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრება. ასარჩევი არიან გუბერნიისა და მაზრების მარშლები.

◆ ქალაქის ქუჩებში უკვე გამოაკრეს სამობილიზაციო ფურცლები. იწვევენ ჯარში იმ ყმაწვილ კაცებს, რომლებიც დაბადებული არიან 1897 წ. გასაწვევი პირები უნდა გამოცხადდენ ქუთაისის სამაზრო სამხედრო სამმართველოში დილის 6 ს თავის ვინაობის დამამტკიცებელი მოწმობით. გასაწვევ ახალგაზდათ არავითარი ოჯახური შეღავათი არ მიეცემათ

◆ კვირას, 15 მაისს, შუადღის 12 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება. უნდა აირჩეს საზოგადოების საბჭოს წევრთა შესავსებლათ შვიდი კაცი და ამასთანავე განხილული იქნება საზოგადოების ხარჯთა აღრიცხვა მიმდინარე წელში.

თავადი სოლომონ მიქელაძე გააცნობს კრებას თბილისში მომხდარ თათბირის ანგარიშს

ბ. კოტე ბერეკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ნაადრევი ხილი და ბოსტნეული ჩვენში და საზღვარ გარეთ“.

◆ ქუთაისის გუბერნიის მე 5 რაიონის საერობო აგრონომი ბ. ბოგდანოვი დაინიშნა ბათომის ოლქის შავი ზღვის ნაპირა რაიონის აგრონომათ.

◆ გუშინ მეფის ტახტზე ასვლის დღეს ქუთაისში გაიმართა [illegible] რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ [illegible] რივი საშუალო სასწავლებლის მოწაფეები.

◆ გუშინ, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა ღ. ზუგდიდს სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევათ. სესსია ერთ კვირას დარჩება.

◆ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მასწავლებელთა და ინსპექტორთა მეორე ყრილობა მოხდება აგვისტოს 25—29 რიცხვებში.

◆ კავკასიის რკინის გზის მთავარი სამართთველოს განკარგულებით მგზავრებს აეკრძალათ მატარებლის ბაქანზე დგომა. დამნაშავენი განსაკუთრებული წესით დაისჯებიან.

◆ დღეს, საღამოს, 8 საათზე ქართულ თეატრში ადგილობრივი სცენის მოყვარეები წარმოადგენენ ა ყაზბეგის 3 მოქმედებიან დრამას „არსენას“.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა წარუდგინა გუბერნატორს სია იმ თავად-აზნაურებისა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

◆ ქუთაისის საზ. საკრებულო 14 მაისიდან გადავიდა საზაფხულო შენობაში

◆ გუშინ წინ ღამით ივანოვის ქუჩაზე გ. როინიშვილის ბინიდან მოიპარეს სახლის ავეჯეულობა.

◆ კავკასიის სანოვაგის მომწყობი კომიტეტის რწმუნებული სთხოვს გუბერნატორს, თუ უკეთუ 24 მარტიდან ქალაქში შემოტანილი შაქარი არაა გამოგზავნილი ჩემს სახელზე და დადასტურებული ცენტრალ ბიუროს მიერ, უმორჩილესად გთხოვთ ამის შესახებ შემატყობინეთო.

◆ 19 მაისს მოხდება ხელოსანთა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრებას დაესწრება ადგილობრივი ინსპექტორი, რომელიც გააცნობს საზოგადოებას, რომ ხსენებული ამხანაგობა 12 მარტიდან 1916 წ. გადაკეთდა შემნახველ-გამსესხებელ ქუთათურ ხელოსანთა ამხანაგობათ. კრება მოხდება ამხანაგობის გამგეობის სადგომში დილის 9 საათზე.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დააჯარიმა არაყის გაყიდვისათვის. ქუთაისის მოვაჭრე ვასილ კუპრაშვილი 100 მან. ან ერთი თვის ციხეში დატუსაღებით, ს. ბანოჯის მცხ. კალისტრატე ზვიადაძე 3 თვით ციხეში დატუსაღებით 31 მუხ. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის და ქუთაისის მოვაჭრე ერმალო ფხაკაძე იარაღის ნება დაურთველათ ტარებისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ № 4 აპრილისა. ჟურნალი ჩვეულებრივად არის შედგენილი.

ეროვნული დემოკრატიის შემკრებლობითი მნიშვნელობა.

ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ გიმეორებთ, რომ ეროვნულ დემოკრატიას—შემკრებლობითი, შემნაწევრებელი მნიშვნელობა აქვს.

ვინც მარტო კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგას, მათი მოქმედება კი პირიქით ეროვნული სხეულის ნაწილების დარღვევასა და განაწევრებას უწყობს ხელს.

ჩვენმა მოპირდაპირეებმა ეს ერთობ მარტივი ჭეშმარიტება ვერ გაიგეს, რადგან ვერ შესძლეს თავისი ჩვეულებრივი თვალთა-ხედვისაგან თუნდ ერთი წუთით განთავისუფლებულიყვნენ და ჩვენი შეხედულება თავის ტრადიციულ რწმენათა შესამოწმებლად დროებით მაინც გაეზიარებინათ ერთი სიტყვით ფანატიზმით დამაბრმავებელმა თვალსაფარმა შეუშალათ ხელი!

განსვენებული მიხაილოვსკი საცინლად იგდებდა ზოგიერთ კრიტიკოსს, რომელიც უკიდურეს ცალმხრივობას იჩენდა და რომელსამე მწერალს ან ცამდის აიყვანდა ან დედამიწასთან გაასწორებდა, ე. ი. ან ტუჩში აკოცებდა, ან ცხვირ-პირში ჩააფურებდა სწორედ ამ ჯურის კრიტიკოსებს მოგვაგონებენ ჩვენი მოპირდაპირეები!

მათი ფიქრით საზოგადოება დანაწილებულია მემარჯვენეებად და მემარცხენეებად, უკიდურესებად და უზომიერესებად, პროგრესისტებად და შავრაზმელებად, კაპიტალისტებად და მუშებად, რომელთა შორისაც მხოლოდ ბრძოლაა და საერთო, საზიარო, შემარიგებელი არა არის-რა.

ვიცი, ზოგიერთი მოკამათე ამგვარ დახასიათებას ცილისწამებაში ჩამომართმევს და მეტყვის: განა ჩვენი „დასელები“ და ფედერალისტები ზოგიერთი შემთხვევისათვის საზიარო სარბიელის აუცილებლობას არ აღიარებენო?! და თავისი ბრალდების დასამოწმებლად—რომელიმე ავტორის ზოგიერთი თხზულებიდან ამოკრეფილ ამონაწერებს დაასახელებს.

მაგრამ, ერთი ან ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ შეიქმს და, თუმცა ხანდახან ჩვენი მოპირდაპირენიც იძულებული არიან დროებით თავისი პრინციპები უარჰყონ და ის, რაც მათს მოძღვრებას არ ესაბამება, ე ი. კლასთა საერთო მოქმედების აუცილებლობა, აღიარონ, მაგრამ მათს სისტემას, რომელიც კლასთა ბრძოლაზე აგებულია, ეს სრულიადაც არ შეეფერება.

ერთი მხრით დგანან ექსპლოატატორები, კაპიტალისტები, მუშათა შრომის ნაყოფის ნაწილის, ეგრეთ-წოდებული ზედმეტი ღირებულების, უნაცვლოდ მიმთვისებელნი, მეორე მხრით კი მშრომელი ხალხი, რომელსაც თავისი შრომის ნაყოფის მხოლოდ ერთი წილი რჩება, და ამ ორ დიდ კლასს შორის მხოლოდ ბრძოლაა შესაძლებელიო, გვეუბნებიან.

ვიდრე განყენებული მსჯელობისა და ტერმინების თამაშის ფარგალს არა სცილდებიან, მათი მოძღვრება ცხადი და ნათელი გეგონება, მაგრამ, როგორც კი თავისი თეორიის ფაქტებით დასაბუთებას და ხორცქმნას მოინდომებენ, უძლეველი დაბრკოლება აღემართებიათ ხოლმე წინ.

და პირველი ნაბიჯისათანავე დაიბნენ და წინააღმდეგობათა საფლობში ჩაეფლენ, რომელსაც ველარავითარი გზით თავი ვეღარ დააღწიეს.

ადამ სმიტისა და რიკარდოს მიერ წარმოთქმული დებულება: საქონლის ფასსა და ღირებულებას სოციალური შრომის რაოდენობა შეიქმსო, მართალია. მართალია კარლ მარქსის ის აზრიც, რომ უბრალო მუშა მეტ ღირებულებასა ქმნის, ვიდრე ის, რასაც მისი შრომის ნაყოფის ფასი შეიცავს.

მაგრამ ამ დებულებას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს, ე ი. მხოლოდ განსაზღვრულ სოციალურ პირობებში აქვს უცილობელი ჭეშმარიტების ხასიათი. საზოგადოება რომ მხოლოდ ორს დიდ სოციალურ კლასად, ე ი. მსხვილ კაპიტალისტებად და პროლეტარებად, იყოს გაყოფილი, მაშინ მარქსის თეორია უნაკლულო იქნებოდა. ამიტომ მან თავისი თეორიის განსახილველად და გასაშუქებლად ეგრეთწოდებულს ფაქტიურს სოციოლოგიურ მეთოდს მიჰმართა, ე. ი. თავისი ანალიზი ჯერ არარსებულს, განყენებულს, წარმოდგენითს სოციალურ ორგანიზმზე გამოსცადა, რომელშიაც მხოლოდ ორი დიდი სოციალური კლასი, პროლეტარიატი და კაპიტალისტები, არიან ნაგულისხმევი.

მაშასადამე, მისი თეორია, რომელიც არარსებული სოციალური ორგანიზმის ანალიზიდან გამომდინარეობს, ყველა თანამედროვე სოციალურ მოვლენას ვერ გარეშეიკავს და ვერ ახსნის.

ავიღოთ მაგალითად წვრილი ვაჭარი, ხელოსანი და გლეხი, რომელნიც თვითეული თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობას შეადგენენ. ზედ-მეტი ღირებულის მიმთვისებულნი, ექსპლოატატორები არიან ისინი, თუ ისეთსავე გაქურდულ კლასს წარმოადგენენ, როგორსაც საქარხნო მუშები ანუ პროლეტარები?!

აი ამ საკითხის სწორედ გადაჭრა შეიქნა შეუძლებელი და უმთავრესად ამან გაჰყო სოციალისტები მარქსისტებად და არამარქსისტებად.

მარქსისტები ე. ი. კაუტსკი, პლეხანოვი, ჩვენი „დასელები“ და სხ. მხოლოდ პროლეტარებს აღიარებენ მომავალი სოციალისტური იდეალის აღმსარებლებად, არამარქსისტები კი, მაგალითად რუსეთში ეგრეთწოდებული „ნაროდნიკები“ და სოციალისტ-რევოლუციონერები და ჩვენში ეგრეთწოდებული სოციალისტ-ფედერალისტები გლეხებსაც კი პროლეტარული იდეალისა და სოციალისტური იდეის მატარებლად სთვლიან.

მარქსისტები ფიქრობენ, გლეხები გაპროლეტარდებიანო, და თავის იმედებს ამ მოლოდინზე ამყარებენ. ხალხოსნური სოციალისტების აზრით კი მარქსის მიერ აღმოჩენილი ზედმეტი ღირებულების თეორია გლეხური ცხოვრებისა და წესწყობილების ვითარებასაც გარეშეიცავს.

რასაკვირველია, სცდებიან პირველნიცა და მეორენიც. პირველნი,—რადგან გლეხთა უმრავლესობის გაპროლეტარება შეუძლებელია, მეორენი,—რადგან გლეხებისათვის ეგრეთწოდებული სოციალიზმის იდეის შეთვისება და აღსარება—წარმოუდგენელია.

ზედმეტი ღირებულების არსებობა არა კმარა, რომ კომუნიზმი განხორციელდეს. თვით მარქსის თქმით ზედმეტი ღირებულება ყოველთვის ყოფილა. მაგალითად მონობის დროს ბატონი მონათა ნამუშევარის ნაწილს პირდაპირ ითვისებდა. და, თუმცა ექსპლოატაცია, წართმევა, აქ ცხადად ჩანდა, მონებს ამიტომ კომუნიზმი არ მოუთხოვიათ. ეგრეთწოდებული საჩარჩო ან სავახშო კაპიტალი ყოველთვის სულს უხუთავდა გლეხებს, მაგრამ გლეხთა მოძრაობანი, თუმცა მიწის თანასწორ განაწილებას თხოულობდენ, თითქმის არაოდეს არ ისახავდენ მიზნად კომუნიზმს, ე. ი. საერთო წარმოებას.

მართალია, იყო კომუნიზმი ძველ პერუში, ძველ სპარტაში და სხ., მაგრამ ხსენებული სოციალური ფორმები უკიდურეს დესპოტიზმთან და მონობასთან იყვნენ შეზავებული და შენაწევრებული და მაშასადამე ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. უმცირესობის მიერ ხალხის შრომის ნაწილის უნაცვლოდ მითვისებას, სრულიადაც არ უარჰყოფდენ.

და რა არის დღევანდელი გლეხის იდეალი? მევახშეობის ნაცვლად იაფი კრედიტი, შუამავალი ჩარჩებისაგან კოოპერატივების საშუალებით თავის დახწევა, კერძო საკუთრების გაფართოება და სხ., რაც კომუნიზმისაგან ძირითადად განსხვავდება.

მარქსს ეს კარგად ესმოდა და ამიტომ სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობის მიზეზად ზედმეტი ღირებულების გარდა კიდევ მეორე ფაქტორს აღიარებდა—წარმოების წესის განსაზოგადოებას, და გაერთიანებას, რომელიც კაპიტალიზმს ახასიათებს.

საქარხნო წარმოების განვითარების გამოშინაური, წვრილი წარმოება თანდათან ჰქრება. დიდ ქარხნებში მუშები დისციპლინას ეჩვევიან და ურიგდებიან. მეორე მხრით დიდი კოოპერატიული წარმოება შრომის ნაყოფიერობას აძლიერებს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ნონსი: 19 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდი საუცხოვო სურათი, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა რომისა, პარიზისა, ლონდონისა, პეტროგრადისა და მოსკოვის საზოგადოებანი. დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად პროლოგით. სურათს დასდგამს ემილიო ჭიონსი, ფირმა ტიბერ ფილმისა ტურინში

სიკვდილის მეუღლე

მთავრესს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ“ წოდებული, ლინა კავალიერი.

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში რომსა და პარიზში და სურათის არაჩვეულებრივი სიმშვენიერე მაყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ დიდ სურათის დადგმის ნება აქვს კავკასიისა და მის გარეთ მხოლოდ

აქციონ. ამხანაგობა „ფილმას“ ქ. ბაქო.

ყურადღება!!! ეს ისეთი საყურადღებო და ფსიხოლოგიური სურათია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს. **ლინა კავალიერი** ეს მეტად მდიდარი ქალია და რომში ბევრ ადგილას აქვს ვილები. მისი სამი მარგალიტის მძივი შეფასებულია ორ მილიონ მანეთად და მეორე გულსაკიდი 250000 მანეთად. მისი ძვირფასი ტანსაცმელები, პაკენა მოდელის ფირმისაა. ბოლოს გამოვა ლინა კავალიერის აწინდელი მეუღლე ფრანგულ დიდ ოპერის მსახიობი ლუჩიანო მურატორი.

ჩვენებური საქმიანობა.

(იხ. „სამშობლო“ № 355)

ავილოთ ახლა ყაფანთან მდებარე ადგილი. როგორც ვიცით, ის ადგილი, სადაც მ ჟამათ ყაფანია, ქალაქმა შეისყიდა, თუ რა ვსცდები, მგონი, 15 ათას მანეთად. ს მეოთხე წელიწადია ამ ფულის პროცენტს ვიხდით და ის ვერ მოვახერხეთ, რომ ეს ადგილი შემოსავლიან წყაროდ ადაგვექცია. თავის დროზე ამის შესახებ სჯელობა ქონდა საოჯახო კომისიას და ასაბუთებული მოხსენება წარუდგინა ქალაქის საბჭოს. ვიშოვეთ ისეთი კაპიტალისტი, რომელიც შემდეგ პირობებს იძლეოდა; გავაფართოვებ ამ ადგილს, ყაფნის ვერდაგვერდით დავსდგამ 17 სავაჭრო ბუტკას, შუაში საკმარისს მოედანს მოვკირწყლავ სუფთათ, გავიყვან ყაფნიდან ივანოვის ქუჩისაკენ გზას, ავუშენებ საფუძვლიან ცემენტით ქვის კედლებს იმ ადგილებს, სადაც ბუტკების უკანა ზურგი ქნება, სამხრეთის მხრით გავუკეთებ ცემენტით ხალხისთვის სათავისუფრო ადგილს თავისი წყალსადენით, გავუკეთებ ჭას, რომ ნიადაგ წყალი ქონდეს გასასუფთავებლად და დღეს რომ ამ უბრალო ლამფის ბუტკებში 1,300 მან. შამოდის ქალაქს ამ შემოსავალს ისევ ვაძლევ ყოველწლობითო. ამას გარდა, რაც შემოსავალი იქნება ჩემი იყოს 9 წლის განმავლობაში და შემდეგ კი ასე გამართულს დავუტოვებ თვითმართველობასაო.

ამ გაკეთებით ეს ადგილი წელიწადში შემოიტანდა ხუთას თუმანს, ნაცვლად 1300 მ. ამ წინადადებას ქალაქის გამგეობაც დაეთანხმა და კერძოთ ვინც კი გაიგო, ყველას მოეწონა, მაგრამ აქ ერთერთმა კომისიამ უფრო მეტ შემოსავლიან ადგილათ გადაკეთება მოინდომა ამ ადგილისა და ხომ მოგეხსენებათ ბევრის მდომელს ცოტაც ეკარგებოდესო-ჩვენ ასე დაგვემართა. დღეს ეს ადგილი ისევ ძველ პირობებშია და ეს არც ისე მცირე მოგებაც ხელიდან გავუშვით. აგერ სამი წელიწადი უკვე შესრულდა მას შემდეგ, ექვსიც მალე გაივლიდა და ქალაქს ხელში შერჩებოდა ოცი ათას მანეთად ღირებული ნაშენობა, ხუთასი თუმანი ყოველწლიური შემოსავალი (შეიძლება 6 წლის შემდეგ საიჯარო ფასს ასი თუმანიც კიდევ მომატებოდა და ყველაზე რაც უფრო საჭიროა დაცული იქნებოდა სისუფთავე. დღეს კი, ვინ იცის, ჩვენი ქალაქი როდის გადასდებს ამსაქმისთვის ორასი ათას მანეთს, მაშინ როდესაც სხვა უფრო საჭირო და საჩქარო საქმეები აქვს გასაკეთებელი. მეხუთე.

ამავე საოჯახო კომისიის განზრახვა იყო ქალაქის თვითმართველობა ტ საურთიერთო ბანკის მმართველობა შეგვეთანხმებია მათი მამულების შეცვლაში. და თუ ეს ორი მხარე შეთანხმდებოდა და წარუდგენდა თავთავის საზოგადოებას შემუშავებულსა და გამორკვეულ საქმეს, ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით და ვართ ახლაც, ორივე საზოგადოება დიდი სიამოვნებით მიიღებდა და დათანხმდებოდა პირადათ მე ძალიან დაინტერესებული ვიყავი ამ საქმის მოწყობაში და კიდეც მივეცი ჩემს თავს ნება ამ ორი წლის წინათ ამ საგანზე პირადათ მოვლაპარაკებოდი ქალაქის თავს ბ. ი. მ. ჩიქოვანს და საურთიერთო ბანკის მმართველს ბ. რ. ყ. დათეშიძეს ორივემ თანხმობა და სურვილი განაცხადეს ამ საქმის გაკეთებაზე და მოიწონეს კიდეც ჩემი წინადადება, მაგრამ მაინც დღემდი შეუძლებელი შეიქნა ამ საქმის საკითხში შეტანა და გამოკვლევა-გამოძიება, თუ რამდენათ სასარგებლო იყო ხსენებული მამულების ერთმანეთში გაცვლა. შეიძლება ამ საკითხის წესრიგში შეტანა იმ გარემოებამ დააგვიანა, რომ ამ ორი წლის წინათ ბ. ი მ. ჩიქოვანმა, ამ ადგილისა და მასზე შენობის აგების გეგმის შედგენა მიანდო ქალაქის ინჟინერს, რომელმაც, როგორც მახსოვს, ისეთი ანგარიში წარუდგინა, რომ პირიქით ქალაქს, თუ შენობას ააგებდა, რამდენიმე ათასი მანეთი ხარჯი და ზარალი უნდა გაეწია. და თუ ეს ასეა, მაშინ სიმართლე უნდა ვაღიარო, რომ ინჟინრის მოსაზრება სინამდვილესთან ახლო არ უნდა იყოს სწორეთ საკვირველია, ნუ თუ ის მამული, სადაც წინათ თვითმართველობა იყო მოთავსებული ზარალს მოუტანს პატრონს? მაშინ ხომ ყველა მამული ზარალის მიმცემი იქნება პატრონისთვის და იბადება კითხვა: მაშ რითი ცხოვრებენ თუ არა მამულის შემოსავლით? შეიძლება ბ. ინჟინერმა ისეთი გეგმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომ მისი განხორციელება ჩვენისთანა პატარა ქალაქისთვის შეუძლებელი ყოფილიყო, მაგრამ აქ საჭირო იყო ჯერჯერობით ისეთი გეგმის შემუშავება, რაც ჩვენთვის ხელმისაწდომი იქნებოდა და ქალაქსაც სათანადო მოგებას მისცემდა. თუ ასე შევხედავდით ამ საკითხს და ამის მიხედვით გეგმას შევიმუშავებდით, მე დარწმუნებული ვარ საქმე ორივე მხარესთვის სასურველათ დაგვირვინდებოდა. უპირველეს ყოვლისა საურთიერთო ბანკის შენობა და ქალაქის ორივე ერთსა და იმავე პირის ქონებათ უნდა ვიგულისხმოთ ასე რომ, გაცვლის დროს სრული სამართლიანობისა და ღირებულობის სწორი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ვლადიმერ წერეთელი.

(დასასრული ხვალ)

ი. ევდოშვილის ხსოვნას.

ჩაჰქრა ლამპარი, გატყდა კალამი,
მუხთალო ბედო, რათ დაგვაღონე?
აღარ გვყავს იგი, ვინც, რომ სამშობლოს,
შესწირა თვისი ძალი და ღონე!
ოჰ, ზეცის ძალნო, რისთვისა გვტაცებთ,
სამშობლოს ბურჯებს, უმანკო მსხვერპლსა,
რათ არ გვაკმარებ ტანჯვა ვაებას
და გვაღვრევინებ ზედი ზედ ცრემლსა?
მოსწყდა ყვავილი საქართველოსი,
იროდიონი აღარ გვყავს ჩვენა.
შეჩერდა გული გმირის, მებრძოლის.
ვინღა გაგვიყოს ჭირი და ლხენა?

კონა გიგინეიშვილი.

ებრაელების ცხოვრებიდან

(სამი დიდი პიროვნება)

ამ დღეებში შეუსრულდა 80 წელიწადი დაბადებიდან ჩვენს გამოჩენილ სწავლულს ა. არკაბას. ჩვენდა სამწუხაროთ, რადგანაც ჩვენი პრესა სდუმს მისი იუბილე ძალიან წყნარათ ჩატარდა და ისეთი აღფრთოვანება არ ეტყობოდა საიუბილეო დღესასწაულს, როგორც 70 წლის თავის აღნიშვნას. მე მინდა აქ აღვნიშნო მხოლოდ მისი დიდებული პიროვნება. იგი დაიბადა 1835 წელს ქ ნოვო გრუდოკში. მიიღო ტრადიციული აღზრდა მშობლების ოჯახში. სწავლობდა სხვადასხვა იეშიბაში, ვიდრე 23 წლამდი. მას შემდეგ შევიდა ვილნოს სარაბინო სასწავლებელში და შემდეგ პეტროგრადის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ისტორიის დოკტორობაზე. დიპლომის მიღებამდი უნივერსიტეტის სახელით გაიგზავნა საზღვარგარეთ, რომ მომზადებულიყო პროფესორათ. 1873 წელს მიიღეს პეტროგრადის უნივერსიტეტში ძველ აღმოსავლეთის ისტორიკოსათ. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა და საიმპერიო ბიბლიოტეკაში ებრაელთა წიგნების მართველათ გადმოიყვანეს, სადაც დღევანდლამდი ამ სამსახურში დარჩა. მან ბევრი რამ ძველი ეთიკა გამოაჩინა, ბევრი რამ ორიგინალი შესძინა ებრაელების ისტორიას, მისი კალმით ნაშრომი ასე ადვილად არ აიწერება; მხოლოდ ერთი მაინც დაუვიწყარი ღვაწლი დასდვა ჩვენს ძველ ისტორიას: კარაიმების ბელადმა ებენშიფმა მოახერხა და ყალბი საბუთები გამოაქვეყნა, ვითომც მათი ისტორია იერუსალიმის აოხრებამდი უნდა იწყებოდესო და ვითომც ეს საბუთი მან ეგვიპტის არქეოლოგიაში იპოვა.- ამ ცნობამ დიდი არეულობა გამოიწვია იმ დროს კარაიმებისა და ებრაელების მწერლებს შორის. ბ. არკაბამ თავისი უსაზღვრო ცოდნით გამოარკვია, რომ მთელი საბუთები ყალბი იყო და არავითარი ისტორიული სინამდვილე მათში არ ერია... მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი ადგილი უკავია მაღალ სფეროებში, მაინც დიდი გულშემატკივარი ძმაა თავისი ტანჯული ერისა და მათ ყველა საჭირო საქმეებში ღებულობს დაუღალავ მონაწილეობას. და როცა რუსეთ-ევროპის გაზეთები მის სახელს დიდი აღტაცებით იხსენიებენ, მის ძმებს—ებრაელებს-კი, საშუალება არა აქვსთ, რომ პრესის საშუალებით გამოსთქვან მისდამი უღრმესი სიყვარული.

სწორეთ ასეთივე დუმილით შეხვდნენ ებრაელები ცნობილი ფილოსოფოსის ერმან კაანის იუბილესაც, რომელსაც მთელი ევროპა და ამერიკა დღესასწაულობს. ერმან კაანი ითვლება საუკეთესო ფილოსოფოსად, რომელმაც დაამტკიცა ფილოსოფიურათ, რომ არავითარი საწინააღმდეგო არა აქვს ფილოსოფიას რელიგიასთან და ამგვარათ რელიგია დაუახლოვა ფილოსოფიას 4 წლის წინათ იგი მივიდა ქ პეტროგრადში რელიგიურ—ფილოსოფიურ საზოგადოების თხოვნით. ყველა სარწმუნოების წარმომადგენლებმა დიდი ამბით მიიღეს ერმან კაანი. დიდებული იყო მისგან წარმოთქმული სიტყვები საზოგადოებაში: „ყველა სარწმუნოება ებრაელებისაც და ქრისტიანებასაც თხოულობს კაცთმოყვარეობასაო, და თუ ამ მშვენიერ სარწმუნოებას ადამიანები არ გადაუხვევენ თავისი პირადი საჭიროებისთვის და მტკიცედ შეინახავს ყველა ერი მას, მაშინ იმასთანა სიყვარული დაფუძნდება ქვეყანაზე, რომ კაცობრიობა ძალმომრეობასა და გაჭირებას აღარ განიცდისო“. და აი, ამ დიდებული ადამიანის იუბილეს როდესაც მთელი კაცობრიობა დღესასწაულობს, ჩვენ მისი ძმები ზემო ხსენებული მიზეზების გამო, მოკლებული ვართ ძმური სალამი მიუძღვნათ მას.

მაგრამ, თუ ამ ორი დიდებული პიროვნების საიუბილეო დღესასწაული გულში სიხარულს გვიღვიძებს, სამაგიეროთ თავზარ დამცემ ამბავს გვაცნობებს ნიუორკიდან მოსული დეპეშა ჩვენი საამაყო პროფესორ შეხტერის გარდაცვალების შესახებ. ვინ არ იცის ებრაელებში მისი უკვდავი სახელი? და ვინც იცის, ეჭვი არაა, რომ კარგათ გრძნობს იმასაც, თუ რა დანაკლისია იგი ებრაელობისთვის. მან დიდი სიმდიდრე მისცა ჩვენ ერს თავისი წიგნებითა და ნაწერებით; განსვენებული იყო რუმინელი, ქ. ფოკშანიდან. დასაწყისი სწავლა იქაურ სარაბინო იეშიბებში მიიღო. აღრზდილობა და ზნეობრიობაც ორთოდოქსიული ქონდა. როცა სარაბინო დიპლომი მიიღო, წავიდა ვენის უნივერსიტეტში და იქ ისმენდა ლექციებს მალე დაასრულა ვენის უნივერსიტეტი და შემდეგ გაემგზავრა ბერლინის საფილოსოფიო ფაკულტეტში, სადაც მიიღო წოდება ფილოსოფიის დოკტორისა.

ონის რაბინი დ. ბააზოვი.

(შემდეგი იქნება)

პატარა ფელეტონი.

როგორც ვიცით, ამ ჟამად რუსეთის და მისმა მარჯვენა ხელმა „ცრუ ლიბერალებმა“ რუსეთის ერის ერთი უდიდესი მტერი აღმოაჩინეს და მას დასამხობად 12 დიუმიანი ზარბაზნები დაუშინეს. .

ვინაა ეს მტერი?

ნუ თუ არ იცით?

პრემიერ შტიურმერს მის აღმოჩენაში ახლა ჯილდოსაც კი პირდებიან და თქვენ „მტრის“ ვინაობაც არ გცოდნიათ... ალბად, ნაკლებად ადევნებთ რუსეთის ცხოვრებას თვალყურს...

ნიადაგზე კი იშობება კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური წარმოების წარმავალობის აუცილებლობისა და იმის წილ კომუნისტურის, საერთოსი, კოლექტიური წარმოების განხორციელების იდეა. ეს არის მოკლედ მარქსიზმის დედა აზრი.

მაგრამ მარქსის წინასწარმეტყველება მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. თუმცა, მართალია, საქარხნო მუშებმა სოციალიზმის იდეა შეითვისეს, მაგრამ წვრილი ე. ი. სახელოსნო და საგლეხო წარმოება ახალს სავაჭრო-სამრეწველო პირობათ შეურიგდა და მოემარჯვა და ერის დიდმა უმრავლესობამ სოციალიზმი არ აღიარა.

ამგვარად მარქსის ის დებულება, საწარმოოსი, ტეხნიკური პირობების შეცვლა მთელს ერს გააპროლეტარებს და გაასოციალისტებსო, ე. ი. მისი „მექანიკური“ აუცილებლობის თეორია, არ გამართლდა.

მარქსისტები თუ იმ იმედით ცხოვრობენ, გლეხები გაპროლეტარდებიან, ქარხნების მუშებად გადიქცევიან და გასოციალისტდებიანო, ეგრეთწოდებულ ხალხოსნებს, ე. ი. სოციალისტ-რევოლუციონერებს, ფედერალისტებსა და სხ. ეს იმედიც არ აქვსთ. მათი აზრით პირიქით გლეხს იმისდა მიუხედავად, რომ მისი საწარმოო წესი, დიდს, განსაზოგადოებულს, კოლექტივურ წარმოებას, სრულიად არ ესაბამება, შეუძლია შეიგნოს სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეა და ამ შეგნების საფუძვლად და მიზეზად მხოლოდ ის მიაჩნიათ, რომ გლეხობაც ზედმეტი ღირებულების წართმევისა და ექსპლოატაციის მსხვერპლია და მაშასადამე ჩაგრულია.

მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მარტო მსხვერპლის შეწირვა არა კმარა, რომ ჩაგრულმა კლასმა მისთვის შეუფერებელი და მიუწდომელი სოციალური იდეალი შეიგნოს და შეითვისოს: ამისთვის სათანადო საწარმოო პირობებია საჭირო. და, ცხადია, რომ სოციალისტ რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები გლეხების გასოციალისტებას ამაოდ ცდილობენ.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი უცნაური დებულება, რომელსაც „სახალხო ფურცელი“ დაჟინებით ჰქადაგებს. გლეხები, რომ თავისი ნაწარმოებნი ღირებულ ფასად გაასაღონ და საქარხნო საქონელი იაფად შეიძინონ, იძულებული არიან დააარსონ კოოპერატივები, ე. ი. მომხმარებელი ამხანაგობანი, რომელთა საშუალებითაც დისციპლინას ეჩვევიან და ურიგდებიან. მაშასადამე კოოპერატივი—იგივეა გლეხისთვის, რაც ქარხანა მუშისთვის, ე. ი. იმ ტეხნიკურ პირობას წარმოადგენს, რომლისაგანაც სოციალისტური იდეალი იშობაო, გვეუბნებიან „სახალხო ფურცლის“ პუბლიცისტები.

მაგრამ სამწუხაროდ ამ ორს ეკონომიურ კატეგორიას შორის არსებულს უკიდურეს განსხვავებას ტ ხიდის გადების შეუძლებლობას ვერა ხედვენ. ქარხანა—საწარმოო იარაღია, ე. ი საზოგადოებრივი მუშაობის განსაკუთრებულ შენაწევრებას, ორგანიზაციას, მოასწავებს. მომხმარებელი კოოპერატივი კი საზოგადოებრივი წარმოების წესს სრულიად არა სცვლის, არამედ პირიქით უბრალო სავაჭრო ქარვასლას წარმოადგენს. ქარხნის მუშები ერთად, ერთს ჭერ-ქვეშ შრომის ერთგვარი ორგანიული, შენაწევრებული განაწილების თანახმად მუშაობენ; აქ თვითეული მუშა საზოგადო საწარმოო ორგანიზაციაზეა დამოკიდებული, საკუთარს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას მოკლებულია, მაშინ-როდესაც მომხმარებელი კოოპერატივის თვითეული წევრი, როგორც მწარმოებელი და მუშა, დამოკიდებულია, საკუთარი ინიციატივის მქონებელია, და თუ კოოპერატივი თვითეული წევრისათვის ზოგიერთს საწარმოო გაუმჯობესებას სავალდებულოდ ხდის, მწარმოებლის ინიციატივას მაინც ფართო სარბიელს უტოვებს.

და, თუ მარქსის მოძღვრების უტოპიურ ნაწილს უარვყოფთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთს მის ღრმა მეცნიერულ დებულებას არ ვიზიარებთ, მაგალითად შემდეგს: სოციალური გარდაქმნისათვის სავაჭრო კაპიტალს, ე. ი. ვაჭრობის განვითარებას კი არა, არამედ სამრეწველო კაპიტალს. ე. ი. წარმოების წესის შეცვლას, აქვს მნიშვნელობა; კოლექტიური წარმოების იდეა კი—კოლექტივური წარმოების შედეგია.

მართლაც! რას მივაწეროთ პირველყოფილი კომუნიზმი, რომელიც მაგალითად ძველ პერუში სუფევდა? იმას, რომ სამხედრო საჭიროება შეერთებულს, შენაწევრებულ მოქმედებას თხოულობდა შინ და გარეთ

აქედან ცხადია, რომ მომხმარებელი ან სავაჭრო კოოპერატივებში მწარმოებელთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არა თუ არ უარჰყოფენ, არამედ პირიქით შველიან და ამ ეკონომიურ დაწესებულებათ სოციალიზმთან საზიარო არა აქვთ-რა და მაშასადამე ეროვნული დემოკრატია, როგორც კერძო საკუთრებისა ე. ი., „თავისუფალისა და დამოუკიდებელი წარმოების, აღმსარებელი, მოვალეა ხსენებული კოოპერატივების განვითარებასა და გამრავლებას ხელი შეუწყოს.

ამგვარად სოციალიზმმა დიდად ავნო დემოკრატიას მით, რომ ეროვნული ორგანიზმი პროლეტართა, გლეხთა და ბურჟუათა კლასებად განწვალა და მათ შორის გაუვალი უფსკრული გასთხარა, მაშინ—როდესაც ეროვნული დემოკრატია სხვადასხვა კლასს გადაჭრილ საზღვრებს არ უდებს და კლასთა ბრძოლაზე უფრო მაღლა კლასთა თანამშრომლობას აყენებს. მართლაც, თუ კი შეუძლებელია გაგება, სად თავდება ექსპლოატაცია, ე. ი., სხვისი შრომის უნაცვლოდ მითვისება, და სად იწყება სრული საზოგადო შრომის ნაყოფის უსამართლო მისაკუთრებაში არმონაწილეობა, შეუძლებელია იმის გადაჭრაც, სად თავდება ერთი კლასი და სად იწყება მეორე.

საზოგადოების განწვალვა კი მსხვილსა და წვრილ ბურჟუებად, ხელოსნებად და პროლეტარებად, დიდ მემამულეებად და გლეხებად, ინტელიგენციად და არა ინტელიგენციად და მათ შორის საერთოსი, საზიარო ეკონომიურისა და ეროვნულ-პოლიტიკური სარბიელის არ-დანახვა და უარყოფა—ყოველსავე მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

ამიტომ ეროვნული დემოკრატია ერის ყველა ნაწილს, მდიდართა, საშუალოთა და ღარიბთ, მრეწველთა, ვაჭართა და მემამულეთ, გლეხთა და პროლეტართ, განათლებულთადა გაუნათლებელთ, საერთო დიადი სოციალური მიზნის განსახორციელებლად გარშემოიკრებს.

გვეტყვიან: განა შესაძლებელია, მან, ვინც ქონებრივად უზრუნველყოფილია, ხელი მისცეს მას, ვინც ბედისაგან ცხოვრების მეჯლისიდან განდევნილია. მაგრამ ამას მისივე პირადი სარგებლობა მოითხოვს, რადგან დღევანდელი „სვებედნიერი ხვალ ბედის უკუღმა ტრიალისა გამო შეიძლება გაირიყოს და ხელცარიელი შეიქნეს

დიაღ! დროა შეიგნონ და აღიარონ, რომ ერი—ერთს შენაწევრებულ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენს და საზოგადოების თვითეული წევრის კეთილდღეობა ამ მთელის კეთილრაბამობაზეა დამოკიდებული. თუ შენაწევრება სრულია,— თვითეული პიროვნების ბედიც უზრუნველყოფილია, თუ არა,—არავის, არც მდიდარსა და არც ღარიბს, არ შეუძლია სთქვას, რომ ბედის უკუღმა გადატრიალება მას ან მის ჩამომავლობას განსაცდელს არ მოუვლენს და უბედურებას თავს არ დაატეხს.

ამიტომ ყველა დაინტერესებულია, რომ ეროვნული ორგანიზმი იმგვარად კეთილმოწყობილი იქნეს, რომ თვითეულ მოქალაქეს გაუბედურების მოლოდინი და შიში არ აწუხებდეს და გულს არ უკლავდეს.

და, როგორცა ვთქვით, ეროვნული დემოკრატია ამ საერთოს, საზიარო სამოქალაქო სარბიელს უპირველესად მით ამზადებს, რომ კლასთა შეურიგებლობის იდეას და სოციალიზმის უტოპიას უარყოფს და მის ნაცვლად დემოკრატიულ პრინციპზე დამყარებულს კერძო საკუთრებასა და სოციალურ კლასთა და ჯგუფთა თანამშრომლობის, ე. ი., ეროვნული სხეულის შენაწევრების, აუცილებლობას აღიარებს. ამიტომ აქვს მას „შემნაწევრებლობითი ანუ შემკრებელობითი მნიშვნელობა.

ვასილ წერეთელი.

ეს მტერი გახლავსთ სამხედრო სამრეწველო კომიტეტები...

მერე იცით ამ კომიტეტებს რა დაუშავებიათ?

მებრძოლ ჯარისთვ ს სამხედრო მასალის მიწოდება გააუადვილებია და „კარპატებში" სრულიად ამოწყვეტა ამ ჯარისთვის თავიდან აუშორებია...

აი, სწორედ ეს
შუვაევსა და ძმათა მათთა რუსეთის აბსოლიუტიზმის დანგრევათ მოსჩვენებიათ.

და მერე იცით რას ამბობენ?

— რადგანაც სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მუშები ერთად თავს იყრიან, და თავის აზრებს ერთმანეთს უზიარებენ, ეს რევოლიუციის ნიადაგს ამზადებსო .

სწორედ გასაკვირია..

მაშ, ეს დალოცვილები თითოეულ მუშისთვის ცალკე სამუშაო ქარხნის აგებას ხომ არ აპირებენ?

მაშინ ხომ არც სამხედრო მასალა და მზადდება და კარპატების ამბები განმეორდება.

მაგრამ...

განა ცოტანი არიან ისეთი პირები, რომელთაც კარპატების ამბებით სურთ საკუთარი ხელი მოითბონ?!

ამას წინათ არ იყო, რომ კოოპერატიულ მოძრაობას, რომელმაც დიადი ღვაწლი დასდვა ხალხს, ყუმბარები დაუმიზნეს ..

და მერე იცი რათა?

იმიტომ, რომ კოოპერაციასაც რევოლიუციის წინამორბედათ სახავენ ასე გაურბიან მას ის პირები, რომელთაც სიტყვა „მოქალაქე" საშინელებას გვრისთ.

დირექტორი „ებრაელებს" სდევნის, ისინი სპეკულიანტები არიანო, ძმანი მისნი კი იმ საშუალებას, რომელიც სპეკულიაციას სასტიკათ ებრძვის, დამხობა მოსპობით ემუქრებიან.

რას იზავთ, არ-ს ისეთი ხალხი, რომელიც შავს თეთრისაგან „ვერ" არჩევს.

არა, გარჩევით კი არჩევენ, მაგრამ ეს გარჩევა მათთვის პირადათ საზარალოა .

ირ - დი.

ერობა ჩვენში.

7 მაისი.

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე.

თავ. ორლოვი. დღევანდელ კრებას თავმჯდომარეობას გაუწევს **მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.**

უავგუსტოესი თავმჯდომარე შემობრძანდება დარბაზში, იჭერს თავმჯდომარის ადგილს და წინადადებას აძლევს სექციათა თავმჯდომარეებს შეუდგნენ მოხსენებებს.

თავ დ. ო. ნიჟარაძე. (მე-II სექციის თავმჯდომარე) ჰკითხულობს ჟურნალს მეორე სექციის მუშაობისას. სექციას საერობო ცენზად მიუღია მიწის და ქონების რაოდენობა 1890 წ. კანონში მოხსენებულ ცენზის მიხედვით. სექცია თხოულობს რაც შეიძლება მის შემცირებას. ამომრჩეველთა კურიებად დანაწილებაც სექციას მიუღია თანახმად 1890 წ. კანონისა. ამის შემდეგ ამ საკითხების შესახებ წარმოსთქვეს სიტყვები **კ. აბაშიძემ, ი. ზურაბიშვილმა, გ. მაჩაბელმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, ვერმიშევმა, დოლუხანოვმა და სხ.**

სექციის ყველა გადაწყვეტილებებს კრება დებულობს დიდის უმრავლესობით.

გ. ლესნიაკი. (მე III სექციის თავმჯდომარე) ჰკითხულობს ჟურნალს შესახებ საფინანსო სექციის მუშაობისა. ამ სექციას განუხილავს ჩვენი ქვეყნის გუბერნიების და ოლქების საერობო ბიუჯეტი და ის აზრი გამოუტანია, რომ თითქმის ყველა გუბერნიებს შეუძლიანთ თავისი სახსრით შეინახოს ერობა, გარდა დაღესტნისა, რომელსაც კრების დადგენილებით ხაზინამ უნდა გაუწიოს დახმარება.

ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი ჰკითხულობს მეოთხე სექციის ჟურნალს შესახებ ქ. თბილისისა, ბაქოსა და სხ. დიდ ქალაქების ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფისა. სექციას გადაუწყვეტია, ეს ქალაქები დარჩეს თავისი კუთხის ერობებში და კრებაც ამას დიდი უმრავლესობით დებულობს.

უმცირესობის დასაბუთებული განცხადება წაიკითხა თბილისის მოურავმა **ა. ი. ხატისოვმა.**

ამითი დასრულდა ყველა სექციების დადგენილებების განხილვა და დამტკიცება. ამის შემდეგ მათმა უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კრებას სიტყვით მიმართა:

მეფის ნაცვლის სიტყვა.

ბატონებო, სასიამოვნო მოვალეობად ვსთვლი ჩემი გულწრფელი და გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი შრომისთვის, რომლიდაც ჩემის შეხედულებით სრულის გამართლებით დაგვირგვინდა თქვენ მე ის მასალა მომეცით, რომელსაც მოველოდი.

კავკასიაში ერობის კანონ-პროექტის შემუშავებას, ღვთის შეწევნით დაუყოვნებლივ შეუდგებით როდესაც საერთო თათბირზე გიწვევდით, მე ამით მსურდა გამეგო თქვენი საერთო აზრი და თუ უთანხმოება მოხდებოდა მსურდა გამეგო უმცირესობისა და უმრავლესობის აზრი. ერთისაც და მეორისაც ერობის კანონპროექტის შემუშავების დროს, როგორც მასალა დიდ სარგებლობას მოუტანს დიდად სასიამოვნოდ დამრჩა აღვნიშნო წესიერი და დამშვიდებული ხასიათი თქვენის მუშაობისა და არც ის, რომ არ დაგვიწყნიათ პირველ კრებაზედ ჩემი თქვენდამი მომართული სიტყვა.

ყველა ეს იმის იმედს იძლევა, რომ შემდეგ ჩვენი თანხმობით მუშაობა ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის ძვირფას ამ კუთხისთვის. ერთხელ კიდევ გიცხადებთ, ბატონებო, მადლობას ვსუ რავ თათბირს და გეუბნებით „ნახვამდის", რადგან პირველ შემთხვევისთანავე, როდესაც მხარეს შემოვივლით გნახავთ თქვენი მოღვაწეობის მუდმივ თანამდებობაზე. ხანგრძლივი „ვაშას" ძახილით და მხურვალე ტაშით შეხვდა კრება მის უმაღლესობის მოწყალე სიტყვებს.

შემდეგ ამისა, პასუხად დასავლეთ საქართველოს თავად აზნაურობის წინამძღოლმა **თავ. დ ც. ნიჟარაძემ** მეფის ნაცვალს შემდეგი სიტყვით მიმართა:

თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! მიიღეთ ჩვენგან უსაზღვრო მადლობა იმ დიადი ყურადღებისა და ნდობის თვის, რომელიც მიაგო თქვენმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ კავკასიას ერთ მათი წარმომადგენლების მოწვევით განსახილველად საერობო დაწესებულებათა შემოღების საკითხისა ჩვენში.

ჩვენი ქვეყნის უავგუსტოესმა მმართველმა, რომელმაც თავს იდვა არა თუ მარტო განხორციელება მკვიდრთა დიდი ხნის ოცნებათა, არამედ თვისი მგრძნობიარე გულით მიჰხვდა რა თვით მთელი კუთხის გულის ცემას დაიდგა მით ამ გულში უკვდავი და კრძალვით განსახსენებელი ძეგლი.

თვით განგებამ, რომელმაც ასე მოწყალედ გაგვიღიმა ჩვენ, ინება მოევლინა ჩვენთვის ისეთი მმართველი, რომლის დამოკიდებულება კავკასიის ყველა ერებთან გამსჭვალულია ერთნაირის პირუთვნელობით და სიმართლით.

არა თუ მარტოოდენ კავკასიის ნორჩი ერობა, შეთანხმებული თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის მიერ რუსეთის შიდა გუბერნიების ერობის უკვე ნაცად ფორმებთან, არამედ დიდი ხნიდან მოსალოდნელი და თქვენ მიერ განცხადებული პირუთვნელობა კავკასიის ერთადმი, აუცილებლად გამოიწვევს მჭიდრო დაახლოვებას ამ კუთხის საერთო ინტერესთა ნიადაგზე.

თქვენდამი უსაზღვროდ ერთგულ მცხოვრებთ სწამთ და იმედი აქვთ, რომ რაკი ასეთი დიდი ისტორიული რეფორმა, როგორიც არის ერობის შემოღება კავკასიაში, ამ ქვეყნის უმაღლესი ხელმწიფების ისეთი მგრძნობიარე და იშვიათი სახელმწიფო ჭკუის წარმომადგენელის ხელშია, რომლიდაც ზედმიწევნით მიჰხვდა კავკასიის ერთა მრავალფეროვან საჭიროებათ, რეფორმა იგი დაჩქარებით და დაუბრკოლებლად იქნება გატარებული ცხოვრებაში.

როგორც წარმომადგენელი საქართველოს ერთ ერთი გუბერნიის თავად აზნაურობისა, მე თამამად ვაცხადებ, რომ ჩემი ეს სიტყვები და გრძნობანი სრული განსახიერებაა მთელი ჩვენი მხარის მცხოვრებთა სულისკვეთებისა, განურჩევლად რჯულისა და სარწმუნოებისა. ამათ კარგად უწყიან, თქვენო უმაღლესობავ, რომ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა მდგომარე წუთს მთელი რუსეთის სახელით და მისი იარაღის საზეიმოდ აკეთებთ დიდს საშვილიშვილო და სახელმწიფო საქმეს, საქმეს შეერთებისას რუსეთის ყველა ტომთა და ენათა.

დაბლად გიკრავენ-რა თავს თქვენ იმპერატორობითი უმაღლესობის მადლიერნი ერნი კავკასიისა, ბედნიერი ვარ დაგიმოწმოთ იშვიათი ეს გრძნობანი მათი სიხარულისა და მადლობისა.

მისი უმაღლესობა ამის შემდეგ კრებას გამოემშვიდობა, და მხურვალე ვაშას ძახილის დროს კრების დარბაზიდან გაბრძანდა.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ზესტაფონი. შაბათს, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ზესტაფონის საკრებულო დარბაზში შესდგა ქართული სახელ მოქმედო საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების წევრთა წლიური კრება. კრებამ მიიღო და დაამტკიცა: 1) წარსული წლის შესავალ გასავლის ანგარიში, შემოსავალი იყო 614 მ. 74 კაპ., გასავალი 54 მ. 74 კაპ.; 2) 1916 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება და გამოსთქვა სურვილი: მიღებული იქნას ზომები საზოგადოების საშუალების გასაძლიერებლად გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებად დარჩენ ისევ ის პირნი, მხოლოდ, ნაცვლად აქედან გადაყვანილის სარევიზიო კომისიის წევრის გ. მოდებაშვილისა, არჩეულ იქნა ბ. გრ. ჟღენტი.

განყოფილება დაარსდა წარსულ 1915 წლის ნოემბერში და იმავე დროს გახსნა გამგეობამ შორაპნის მაზრაში ოცი სარეგისტრაციო პუნქტი ომიდან დაზარალებულთა პირების სიათა შესადგენად და ცნობების მისაწვდენად. წელს სხვათა შორის, გამგეობამ სთხოვა და გაგზავნა თბილისის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ. გ. ჩხეიძე მთავრობასთან მოსალაპარაკებლად სურსათისა და შაბიამნის შესახებ. ამ მისიის შესახებ წერილი იყო მოთავსებული „თანამედროვე აზრში".

7 მაისს ზესტაფონის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს იშვიათი ადამიანი საქალო სკოლის ხელ-საქმის მასწავლებელი ქ. მაჭავარიანის ასული. მართალია, სწავლა არსად ჰქონია შეძენილი, მაგრამ თვის ცხოვრებაში იგი ბევრს განათლებულზე მაღლა იდგა თვისი სპეტაკი, ჭეშმარიტი ზნეობით, უანგარობით, ქველმოქმედებით და მეყაითობით. თვითონ ღარიბი იყო, მაგრამ მისი ქონება მხოლოდ საქველმოქმედოთ იყო გადადებული.

წესის აგების დროს სიტყვები უძღვნეს განსვენებულს და დაახასიათეს იგი.

8 მაისს აქაურ დარბაზში გაიმართა კონცერტი საღამო ზესტაფონის რკინის გზის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. საღამომ ჩინებულად ჩაიარა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. ეტყობოდათ, რომ სკოლის გამგეს და მასწავლებლებს არ დაეზოგათ თავი საღამოს კარგად ჩატარებისათვის.

9 მაისს შიო მღვიმელის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართა დილა—საღამო. დილით ბავშვებისათვის და საღამოთი მოზრდილთათვის საღამოს პროგრამა იყო ასეთი: 1. სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებმა მიულოცეს მგოსანს დღესასწაული. 2. მგოსანმა ბ. ახოსპირელმა მიულოცა ლექსით. 3. მომღერალთა გუნდმა ს კავსაძის ლოტბარობით შეასრულა განგებ სადღესასწაულოთ დაწერილი შიოს ჰიმნი. 3. ბავშვებმა წაიკითხეს შიოს ლექსები. 4. დაიდგა საბავშვო პიესა „ალქაჯი" 1. მოქ. ბავშვებისაგან შესრულებული 5. გუნდმა იმღერა. 6 გამოვიდა შიო ბავშვებში საღამოს შემდეგ ბანკეტი გაიმართა და წარმოითქვა სიტყვები. საღამოს გამგეობას ჰკისრულობდა ადგილობრივ სკოლათა მასწავლებლის კორპორაცია, რეჟისორად იყო ბ. ვარაბიძე.

კ. გრძელი.

რუსეთი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტიდან მუშების გამოძევება შეაჩერეს. განზრახვა აქვთ გამოძევების მაგივრად სხვა ზომა მიიღონ.

— —

ხმებია, თანამდებობიდან გადაყენებული ბელეცკი სამსახურს უბრუნდებაო.

— —

გუჩკოვს და კონოვალოვს ამ მოკლე ხანში მოლაპარაკება ექნებათ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საკითხის შესახებ.

— —

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ მიიღო რუსეთის გამოცემათა რედაქტორების რწმუნებული ჰესენი. როგორც ვიცით, რედაქტორები ითხოვდენ ყრილობის მოწვევის ნებართვას. ასეთი ყრილობა პრემიერ შტიურმერს სასურველად არ უცვნია

შემოწირულება.

„სინათლის" სეირნობისათვის კიდევ შემოსწირეს:

თ. ალექსანდრე ლორთქიფანიძემ 10 მ. სამ-სამი მ ნ. მაშიკო ქუთათელაძისამ, სოფიო ნიჟარაძისამ ნინო ნუცუბიძისამ და ლიუბა წერეთლისამ; ორ-ორი მან. კომეტიანმა და ნარსიამ; თითო მან. ანნა მგალობლიშვილისამ და ლიზა კაკაბაძის ასულმა.

მ. დ. ღუნდუას ასულმა შემოსწირა 1 წინსაფარი, 1 ნაქარგი მაუდის ჯიბე და 1 ნაქარგი საყელო, ოლღა გეგეჭკორისამ სამი საყვავილე ვაზა.

ქ. ოლინკა წულუკიძემ შეაგროვა შემდეგი ნივთები: სოფიო ჯაყელისაგან საშაქრე, ფილიპოვისაგან წყვილი საყვავილე ვაზა, მარ. კერესელიძისაგან საყვავილე ვაზა, მ. ქუთათელაძისაგან 2 ფინჯანი, მ. ჩიქოვანის ასულისაგან ნაქარგი, №№ კონსერვის ვაზა, №№ კონსერვის ვაზა, წყვილი [illegible]

ქ. ელისაბედ დათეშიძემ შეაგროვა შემდეგი შემოწირულობანი ბავშვების ლატარიისათვის: თეთრი კრავი შემოსწირა მათიკო დათეშიძემ, მართა დათეშიძისამ კრუხი პატარა წიწილებით, თამარა ბარაბაძემ თეთრი კურდღელი, ბიჭობი დათეშიძემ ირი მტრედი და მათი ორი კვერცხი, მარო ბურქანაძემ 4 ცხვირსახოცი, ქეთევან დათეშიძემ 1 მტრედი და 1 წიგნი, მათიკო დათეშიძემ პატარა ბავშვის საცვლები, დიდი პიპი და პატა პიპი დათეშიძეებმა 4 ცხვირსახოცის ჩანთა, ბიჭობი, თამარა და ქეთევან დათეშიძეებმა წიგნები და მძივები, თამარ ყ. დათეშიძემ ბავშვის კედლის ხალი, თამარ კუტუხიძემ ბავშვის წინსაფარი, ქსენია ჯაფარიძემ ორი ცხვირსახოცის ჩანთა, ვახტანგ გეგელაშვილმა ნიკიტინის მთელი თხზულებანი, ნინო ბაქრაძემ 1 ბავშვის წინსაფარი, 1 საგულე, 1 საშაქრე, თინიკო დარჩიაშვილმა 6 ბატისტის ცხვირსახოცი და 1 ბავშვის საგულე, ლიზა ზუბენკომ ნაქარგი საყელო და ქრისტინე ზუბენკოსი 6 ბატისტის ცხვირსახოცი.

ქ. მ. მამფორიასამ შეაგროვა შემდეგი შემოწირულებანი: ჩარო აბაკელიასაგან საფერფლე, ნინო კობახიძესაგან 6 ჩაის ხელსახოცი, კატო კაცარავასაგან ბალიშის გადასაფარებელი, ბარათაშვილის მეუღლისაგან 6 ჩაის ხელსახოცი. ანნა კაჭკაჭაშვილისაგან 6 ჩაის ხელსახოცი, ქრისტინე მოწონელიძისაგან სასუხრეს გადასაფარებელი, ელენე მიქელაძის ასულისაგან მაგიდაზე გადასაფარებელი ზოლი, ანეტა ბუკიასაგან 4 არშ. ჩითი, ნარო ჯ ჯანიძისაგან—მაგიდის ზოლი და 4 ხელსახოცი, ანეტა გეგეჭკორისაგან—ნაქარგი პირსახოცი, ელის. მოწონელიძისაგან—3 მურაბის ლამბაქი, ქ. მ ტრონა მამფორიასამ შემოსწირა ნაქარგი პირსახოცი. ქ ელისაბედ ცაგარეიშვილისამ შეაგროვა შემდეგი შემოწირულებანი: კატო ელიავასაგან—3 ხელსახოცი, ნინო ჩიქაკაძისაგან—ბალიში, ფატკუ ქაჯაიასაგან,—ორი ხელსახოცი, სირმა დეისაძისაგან—ლანგარი და მაგიდის საფარი, მართა ყუფარაძისაგან—ბალიშის პირი, მარო მხეიძისაგან—ტოლსტოის სურათი, სოფიო ნიჟარაძისაგან—3 მ., ნინო ნუცუბიძისაგან—3 მ., ანნა მგალობლიშვილისაგან—1 მ., ქ. ელ. ცაგარეიშვილისამ შემოსწირა ნაქარგი ჩაის ტილო.

ქ. ვერა სვანიძისამ შეაგროვა შემდეგი შემოწირულებანი: თამარ ხელაძისაგან—ნაქარგი პირსახოცი, ოლინკა რუხაძისაგან 6 ცხვირსახოცი, ნაქარგი მაგიდის ზოლი, ლიუბა რუხაძისაგან 6 ტილოს ხელსახოცი, ანნა რუხაძის ასულისაგან 3 მ., ქ. ვერა სვანიძისამ შემოსწირა: ნაქსოვი საშე ცხვირსახოცების, 2 ნაქარგი სავარცხლის ჩასადები, ნაქარგი ბალიშის გადასაფარებელი. ნინო ზურაბიშვილისამ 1 წიგნი, 2 ბლოკნოტი, ხის დახატული კვერცხი. 3 სურათი, სათამაშო, 4 იაპონური მარაო; ნინო წერეთლისამ ნაქარგი მაგიდის ზოლი, ნაქარგი პირსახოცი და ორი პერანგის არშია; ნინო ქავქანიძის ასულმა სასუხრის გადასაფარებელი, ალექსანდრა ბერიშვილისამ 2 საყვავილე ვაზა, ელ. ბერიძისამ სასუხრის გადასაფარებელი, მარიამ კერესელიძისამ 2 საყვავილე ვაზა, პელ. ცეხანოვსკისამ 2 საყვავილე ვაზა და 6 მურაბის ლამბაქი, აგრაფ. იაშვილისამ ორი სურა, ჯოჯუამ ქუდი, უკრაინცევმა 1 კოლოფი რგოლები, გია აბაშიძემ სურათი, თამარ ვახვახიშვილმა 2 ნახატი ტილოზე.

ღია წერილი „სახალხო ფურცლის" რედაქციას".

„სახ. ფურც." 5, 6, 8 №-ის ქრონიკაში დ. ხონიდან მოთავსებულია ცნობა,— ვითომც დ. ჯალაღანია ფალსიფიკატურ შაბიამანს ყიდისო. ეს ცნობა მართალი არ არის და ამიტომ გთხოვთ, ბ. „სახ ფურცლის" რედაქტორო, დაასახელოთ ხრონიკორი, რომ გამოვიწვიო სამედიატორო სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს სიმართლის აღსადგენათ.

დიმიტრი ჯალაღანია

ჩვენი ფოსტა.

ტყიბული. იასონ მერკვილაძეს. თქვენს შეკითხვაზე—თუ რა მოთხოვნილება აქვს, ან რა ფას დ გადის მოცვის ჩაი ჯერჯერობით არაფერია გამორკვეული. თუ რა მოთხოვნილება ექნება ან რა მაზანდა გადაწყდება—ამის შესახებ ცნობას, გაგებისთანავე მოვათავსებთ ჩვენს გაზეთში.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 8 ს 5 წ
„	— საღამ.	— 8 ს. 55 „
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 45 „
„	— ღამის	— 2 ს. 25 „
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 31 „
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. 55 „
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 5 „
„	— ღამის	— 12 ს. 30 „
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 10 „
„	— დილის	— 6 ს. — „
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს. 13 „
ტყიბულისკენ	— დილის	— 5 ს. 25 „
შორაპნისაკენ	— დღით	— 6 ს. 25 „

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისავნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გას ჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გამუჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშვის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)